

ქვეყნის დასაქმებულთა 64% დედაქალაქში მუშაობს



საქართველოს რეგიონები დღით დღე კარგავენ ფუნქციას. მთელი ქვეყნის დასაქმებულთა 64% დედაქალაქში მუშაობს. როგორც გაზეთი „რეზონანსი“ წერს, მთავრობა რეგიონების განვითარებას ვერ ახერხებს, ამიტომაც მოსახლეობის უდიდესი

ნაწილი დასაქმებისთვის დედაქალაქს მიეწევა. ასიათასობით შრომისუნარიანი ადამიანი თავის სარჩენად წდება, ემიგრაციაში იმყოფება.

რეგიონებში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით 9.3%-ით აჭარის რეგიონი დიდრობს. მას შემდეგ მოსდევს იმერეთი – 7.0%. მესამე ადგილზეა ქვემო ქართლი – 5.5%, რომელსაც მოჰყვება სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.9%-ით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში სხვა რეგიონებში დასაქმებულთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებელი აღნიშნული არ არის. სამაგიეროდ, ზუსტად არის ცნობილი ის, რომ დედაქალაქში დასაქმებულთა 64%-ია თავმოყრილი.

“საქსტატის” მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში 1 763 000-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 729 635 ადამიანს შეადგენს. აქედან 1 591 000-მდე ადამიანი რეგიონებში ცხოვრობს, 2 128 500 კი – ქალაქებში.

სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას მთავარ პრობლემად მიიჩნევენ ეკონომიკის სფეროს სპეციალისტი პაატა არაშიძე. მისი თქმით, დასაქმების მაჩვენებელი დედაქალაქში უფრო მეტია, ვიდრე რეგიონში. ამას გარდა, ქვეყანაში მოთხოვნაა ფაბრიკა-ქარხანების შექმნაზე, თუმცა რეალური მუშახელი, რომელიც შეძლებს დაკისრებული

მოვადგობის შესრულებას, არ არსებობს და შესაძლოა, ასეთი ობიექტები მეზობელი ქვეყნების ხარჯზე შეივსოს.

“ყველაზე დიდი პრობლემა ქვეყანაში დასაქმებაა. მუშახელის რაოდენობის გადანაწილების მიხედვით რომ არაპროპორციულ მარკეტებზე ვაწყოებით, ესეც პრობლემას ქმნის. რადგან დასაქმების მარკეტებზე დედაქალაქში უფრო მეტია, ვიდრე რეგიონში, შესაბამისად, იქით ისწრაფის მოსახლეობაც. სოფლის დაცვის შემთხვევაში ადამიანი სამსახურის საძიებლად მიდის ან თბილისში, სადაც ეგუდება პერსპექტიური ვარიანტი, ანდა – ბათუმისკენ, ისიც – სემონურად.

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში სხვადასხვა სფეროში სპეციალისტების ნაკლებობაც, რომლებიც არ გვყავს. მოთხოვნაა ფაბრიკა-ქარხნების შექმნაზე, თუმცა რეალური მუშახელი, რომელიც შეძლებს დაკისრებული მოვადგობის შესრულებას, არ არსებობს და შესაძლოა, ასეთი ობიექტები მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული ადამიანების ხარჯზე შეივსოს. ძალიან დიდია ადამიანთა ის ნაკადი, რომლებიც დასაქმების გზას უცხოეთში ეძებენ და ქვეყნიდან წლების განმავლობაში გადიან, ბოგი კი საერთოდ არ ბრუნდება უკან”, – აღნიშნა “რეზონანსთან” საუბრისას არმიძემ.



სამართლის სფეროს სპეციალისტი დევან ადაფიშვილი მიიჩნევს, რომ მთავრობამ დასაქმების პრობლემა რეალური გზებით უნდა გადაჭრას, სახელმწიფომ კი ჩამოაყაროს სტრატეგია, პრობლემის სწორად იდენტიფიკაცია მოახდინოს და დასაქმების კომპონენტში შექმნას

სამუშაო ადგილები.

“ერთი შეხედვით მარტივი რამ არის გასაკეთებელი ამის თავიდან ასაცილებლად. პირველი – სახერმნიფომ უნდა ჩამოაყარბოს სტრატეგია, პრობლემის სწორად იდენტიფიკაცია მოახდინოს. საქმე ისაა, რომ სიღარიბეა ჩვენი უმთავრესი პრობლემა და ამოცანა, შესაბამისად, თანაბარი განვითარება სოციალურ დონეზე. ამას არავინ აქცევდა ყურადღებას ბოლო 15 წლის განმავლობაში. არც ერთ მთავრობას საკითხის გადასაჭრელად ნაბიჯი არ გადაუდგამს.

მეორე და უმთავრესია სამუშაო ადგილების შექმნა, რასაც სახერმნიფომ უნდა შეუწყოს ხელი. საჭიროა სხვადასხვა დონეზე სტიმულირება, საკანონმდებლო ინიციატივა თუ სხვა პირობები. არსებული მდგომარეობის ანალიზი არ ხდება. მაგალითად, შარშან ამოქმედდა მაღარმთიანი რეგიონის საწარმოების სტატუსი, რომლის მიზანი იყო რეგიონებში დასახლების სტიმულირება, თუმცა ვერ გაითვალისწინეს საგადასახადო ადმინისტრირების მომენტი. მენარმე დადგა მარტივი არტერნატივის წინაშე, წლის ბოლომდე დალოდებოდა მოგების გადასახადს და მერე ესარგებდა ამ შეღავათებით თუ დღგ-ში ყოველთვიური ბრუნვით მიელო შეღავათი. ძარიან ბევრმა დღგ-ზე შეაჩერა არჩევანი, რადგან მათთვის ყოველთვიური შეღავათი უფრო მნიშვნელოვანი იყო. ასეთი გადანყვეტირებები, რომლებსაც სისტემური გააბრება აკრია, იდეებს აკნინებს. სწორედ მსგავსი საკითხები უნდა მოგვარდეს, თუ უნდათ, რომ მოსახლეობის დამაგრება მოახერხონ რეგიონში და მათ არ ჰქონდეთ დასაქმების პრობლემა”, – განუცხადა “რეზონანსს” ადაფიშვირმა.

„რეზონანსი“